

სოლიდარობის თემის საქმიანობის ანგარიში

2021-2023

სარჩევნი

სტუდიდარობის თემი-ამბავი ჩვენი გაერთიანების შესახებ	04
ჩვენი გუნდი	07
ჩვენი საქმიანობა	08
ორგანიზაციული განვითარებისა და გაძლიერების უზრუნველყოფა	09
ქართული ისლამური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და წარმოჩენა	10
სამოქალაქო ჩართულობისა და დემოკრატიული მონაწილეობის ხელშეწყობა	12
აჭარაში მცხოვრები ქალების უფლებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა	14
LGBTQI+/ლგბტქ(ი)+ პირების მხარდაჭერა და საჭიროებების აღმოკვატირება	16
პროექტები და დონორები	18
ჭილდოები	21

ჩვენი შესახებ



სოლიდარობის თემი_ამბავი ჩვენი გაერთიანების შესახებ

სოლიდარობის თემის იდეა ორგანიზაციის შექმნამდე დიდი ხნით აღრე ჩამოყალიბდა. თბილისში მცხოვრები, წარმოშობით ხურციბოლო სტუდენტები გავერთიანდით საკუთარი თემის და რეგიონის სამოქალაქო სამსახურში ჩადგომის იდეით.

ჩვენ გაგვეერთიანა სოლიდარული, სამართლიანი და ინკლუზიური სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საერთო იდეამ, სადაც ყველას უფლება დაცულია და ადამიანები ცხოვრობენ ღირსეულ, უსაფრთხო და თანასწორ გარემოში.

სამოქალაქო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილებამ, ადგილობრივი გარემოს ცოდნამ და ადგილობრივ თემში ჩვენს მიმართ არსებულმა ნდობამ მოგვცა ძალა დაგვეფუძნებინა - სოლიდარობის თემი.

ორგანიზაციის დაფუძნების იდეა ყველა ჩვენგანმა გაიზიარა, ზოგმა გაბედულად, ზოგმა უფრო ფრთხილად და დაფიქრებულად, მაგრამ ერთმანეთის გამხნევებით, შეგუდიანებით და ნდობით, რაც ჩვენი გუნდის მთავარი ძალაა.


სოლიდარობის თემი, პირველ რიგში, ჩვენთვის შევქმენით, რადგან ის ცვლილებები, რისთვისაც ვშრომობთ ყველაზე მეტად ჩვენ გვჭირდება, რომ ვიცხოვროთ უფრო სოლიდარულ, თავისუფალ და მრავალფეროვან საზოგადოებაში. ჩვენ შევიქმენით ჩვენი ოჯახის წევრებისთვის, ნათესავებისთვის, მასწავლებლებისთვის, მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის, ახარებადებისთვის, ქალებისთვის, აჭარის ყველა მოქალაქისთვის; შევიქმენით რათა გავაუღწროთ აქამდე გამოუხატავი ხმები, წუხილები, გამოწვევები, მიღწევები და რეგიონში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ჩვენივე ხედვები. სამოქმედო არეადად შემოვსაზღვრეთ აჭარის რეგიონი და გადავწყვიტეთ ვიმუშაოთ აქ მცხოვრებ ქართველ მუსლიმებთან, ქალებთან, ახარებადებთან, ქვიარ თემთან, ეკომიგრანტებთან და შშმ პირებთან. მჭიდროდ ვითანამშრომლოთ მათთან მათივე უფლებრივი, კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ამ მიზნების მისაღწევად კი ადამიანის უფლებების დაცვა და სოლიდარობის პრაქტიკის დამკვიდრების გზა ავირჩიეთ.

მისია

ჩვენ ხელს ვუწყობთ საზოგადოებაში აჭარის მრავალფეროვნების წარმოჩენას, სოციალური თანასწორობისა და სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას ადამიანის უფლებების დაცვისა და სოლიდარობის პრაქტიკის დამკვიდრების გზით.


ხედვა

ჩვენ ვინსწრაფვით სოლიდარული, სამართლიანი და ინკლუზიური სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისკენ, რომელშიც ყველას უფლება დაცულია და ადამიანები ცხოვრობენ ღირსეულ და უსაფრთხო გარემოში.



ჩვენი ამ რწმენის და ღირებულებების გამოსახატად ავირჩიეთ ღიმნის ხის ორნამენტი, რომელიც გარდა რეგიონის სოციო-ეკონომიკური წარსულის ასახვისა, ყველაზე კარგად აჩვენებს ჩვენს დაბრუნებას საკუთარ ფესვებთან, ადგილზე მუშაობის სტრატეგიასა და მრავალფეროვნებისადმი უკომპრომისო ერთგულებას.

ამრიგად, სოლიდარობის თემი ერთდროულად არის პირადი და საჯარო, სამოქალაქო და პოლიტიკური განაცხადიც იმაზე, რომ ჩვენი ღირებულებებითა და ხედვებით სხვებთან ერთად ჩვენივე საზოგადოების განვითარების პროცესში ვიყოთ ჩართულები. გვჯერა, რომ პოლიტიკურ სისტემასთან ერთად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების დეცენტრალიზაციაც. ჩვენთვის არსებითია ადგილობრივ, სათემო და რეგიონულ დონეზე მუშაობა, რადგან ცვლილებები, რისი დანახვაც გვსურს, ყველაზე მკაფიოდ სწორედ საზოგადოებრივი ქსოვიდის ამ დონეზე ჩანს.



**სოლიდარობა!
თანასწორობა!
მრავალფეროვნება!**

ჩვენი გუნდი

თორნიკე აბულაძე

აღმასრულებელი დირექტორი

"სთლიდარობის თემა არის ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობაზე!"



ლია დეკანაძე

ფონდების მოძიების
სპეციალისტი

"ჩვენ არ გვაშინებს სიჭრელე და მრავალფეროვნება, პირიქით ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით ვეცდებით მათ დაცვას!"



გიორგი რიშვაძე

პროექტის კოორდინატორი

"დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის მებრძოლ ადამიანთა ერთობა!"



ჰურიე აბაშიძე

პროექტის ასისტენტი

"სივრცე ყველასთვის, ვისთვისაც ადამიანის უფლებები მნიშვნელოვანია!"



მაია რიშვაძე

სტრატეგიული კომუნიკაციების
ხელმძღვანელი

"ინკლუზიური სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, სადაც ყველა სოციალური ჯგუფის წევრს შეეძლება საკუთარი უფლებების დაცვა!"



ავთო შავაძე

პროექტის კოორდინატორი

"ვატივისცემასა და თანასწორობაზე დაფუძნებული ერთობა!"




ნუსტან ანანიძე

პროექტის მენეჯერი

"დარწმუნებული ვარ ჩვენი, ერთობა ბევრი ახალი ინიციატივის საწინდარი იქნება!"

ჩვენო სამედიანობა




ორგანიზაციული განვითარებისა და გაძლიერების უზრუნველყოფა

სოლიდარობის თემი კოვიდ პანდემიისას შეიქმნა და ამ რთულ პერიოდში პირველი მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და ნდობა მოვიპოვეთ თბილისის ადამიანის უფლებათა სახლისგან, რომლის მიზანის პანდემიისას სამოქალაქო ორგანიზაციების მოქნილობისა და მდგრადობის ხელშეწყობა იყო.

არსებული პროექტის “კოვიდ 19 და სამოქალაქო საზოგადოების მოქნილობა და მდგრადობა აჭარაში” ფარგლებში ვიმუშავებთ შემდეგი მიმართულებით:

ჩამოვყვებით ორგანიზაციის სტრუქტურა, რამაც კიდევ უფრო ნათელი გახადა ჩვენი მიზნები და თითოეული წევრის როლი ორგანიზაციაში. ჩვენი სამუშაო კომპეტენციების გაძლიერების მიღმა (პროექტის წერა და მართვა, სოციალური მედიის მართვა, ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვა და ფონდების მოძიება), ამავე პროექტის ფარგლებში შევქმენით ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.



რეგიონული კვლევები ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. სწორედ პროექტის ფარგლებში, გუნდის წევრებმა კვლევითი უნარების გაუმჯობესების მიზნით შეისწავლეს კვლევითი მეთოდოლოგიები. პირველი კვლევა, რომელიც ამ პროცესის შედეგად მოვამზადეთ და წარვადგინეთ იყო “მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების გამოწვევები კოვიდ პანდემიის დროს”. კვლევამ აჩვენა, თუ როგორ იმოქმედა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა ქაღთა ყოველდღიურობაზე. როგორ აღიქვას მათ სახელმწიფოს მხრიდან, რიგ შემთხვევაში, არადომინანტური რედიკურიზაციების მიმართ დაწესებული დისკრიმინაციული მიდგომები. როგორ ისარგებდეს

იმ სერვისებით, რაც სახელმწიფომ მათ შესთავაზა პანდემიის მართვის ფარგლებში.

ორგანიზაციული განვითარების შემდგომი ეტაპი განხორციელდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით შემდეგი პროექტის ფარგლებში "სოლიდარობის თემის ორგანიზაციული გაძლიერება და განვითარება ეფექტური სათემო მუშაობისთვის".

სოლიდარობის თემის ჩამოყვებით დაახლოებით ორი წლის შემდეგ ორგანიზაციაში არსებული ცვლილებებისა და ქვეყანაში შეცვლილი სამოქალაქო მდგომარეობის ფონზე, ჩვენი გაძლიერების მიზნით გადავწყვიტეთ, რომ განგვეხილებინა ორგანიზაციის სტრუქტურა და თემატური სტრატეგიები. ამ პროცესის ფარგლებში, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და არეალი იგივე დარჩა, თუმცა დაიხვეწა სტრუქტურა, ჩამოყვებდა სამუშაო გუნდი, გამოიკვეთა მმართველი ორგანო, განახიდა და შეიქმნა ორგანიზაციული დოკუმენტები, დაინერგა ანგარიშგაღებულებისა და გამჭვირვალობის პროცედურები.

ქართული ისლამური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და წარმოჩენა

აჭარის რეგიონის კულტურული და სამოქალაქო ინტეგრაციის საქმეში კულტურის პოლიტიკა არის არსებითი საკითხი. სოლიდარობის თემა თავიდანვე დაინტერესდა ქართული ისლამური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლითა და წარმოჩენით. ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი პროცესი იყო ჩვენი ჩართულობა ქართული ისლამური კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენისა და დაცვის საქმეში. აჭარული ხის მეჩეთების, როგორც მხოლოდ საკულტო-რელიგიური ნაგებობების აღქმა გავაფართოვეთ და ის წარმოვაჩინეთ ეროვნული კულტურის კონტექსტში. ჩვენ გვჯერა, რომ ისტორიული, სახელოვნებო და არქიტექტურული მახასიათებლებით აჭარის მეჩეთებს აქვთ უფრო მეტი ადამიანის დაინტერესების პოტენციალი, შესაბამისად სახელმწიფო უნდა იზრუნოს, როგორც მათი დაცვისა და კონსერვაციის, ისე საჯარო აღიარებისთვის.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადავდგით PEOPLE IN NEED-ის მხარდაჭერით "ქართული ისლამური კულტურის ტურისტული პოტენციალის შესწავლისა და წარმოჩენის" ფარგლებში.



სოფელი აბარის მეჩეთი, ხულო

2022 წლის ბოლოს დავიწყეთ საზოგადოებრივი კამპანია ქართული ისლამური კულტურის, როგორც ქართული კულტურის ნაწილის აღიარების, პატივისცემისა და პოპულარიზებისთვის. კამპანიის ფარგლებში შევავსოვეთ და გამოვავსოვეთ ინფორმაციები აჭარის ხის მეჩეთებზე, გადავიღეთ და გავაზიარეთ ფოტო-ვიდეო/აუდიო მასალები და ბლოგ-პოსტები მათი ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ. გარდა ამისა, შევხვდით საოჯახო სასტუმროების წარმომადგენლებსა და ტურისტულ გიდებს და შევთავაზეთ მეჩეთების ინტეგრირება მათ პროგრამებსა და მარშრუტებში. ამავე პროექტის ფარგლებში ვუმასპინძლეთ ჩეხურ მედიას, რის შედეგადაც მომზადდა [ვიდეო](#) აჭარული კულტურის შესახებ.



მეჩეთების ხიდვადობის გაზრდისთვის მოვანყვეთ [ღია გამოფენა ქ. ბათუმში](#). ასევე, გამოფენა საჯარო დისკუსიასთან ერთად ქ. თბილისში.

პეტიციებითა და განცხადებებით მივმართეთ როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებას კონკრეტული მეჩეთებისთვის (ჯაბნიძეები) კურდურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების, ხოლო კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მეჩეთების აღდგენა/დაცვის მოთხოვნით (ძენწმანი, გურები, ზვარე).

2023 წლის სექტემბრიდან UNDP-ის მხარდაჭერით პროექტს "საქართველოს მრავალფეროვნების მოზაიკა" ფარგლებში მეჩეთების საკითხთან დაკავშირებით უფრო ფართოდ და კომპლექსურად დავინწყით მუშაობა.

კონსტრუქტორის ჩართულობით დაგვეგმით სავსე სამუშაოები, რის ფარგლებშიც მოვიარეთ 25 მეჩეთი და შევავსოვეთ ინფორმაცია მიზნობრივი საკუროლ ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობისა და კურდურული ღირებულებების თაობაზე. აღნიშნული კვლევის საფუძველზე შეიქმნება კვლევის დოკუმენტი (კვლევა გამოქვეყნდება 2023 წლის დეკემბერში), რომელშიც აღწერილი იქნება მეჩეთების არსებული საჭიროებები და განსაზღვრული იქნება შესაბამისი რეკომენდაციები. ამავე ინიციატივის ფარგლებში სტრატეგიულად ვიმუშავებთ კურდურის პოლიტიკაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან. აგრეთვე, დავაორგანიზებთ მეჩეთების ტურსა და გამოფენებს.



სამოქალაქო ჩართულობისა და დემოკრატიული მონაწილეობის ხელშეწყობა

3 იდევ ერთი საკითხი, რაშიც ჩვენი წვლილი შეგვაქვს აჭარის რეგიონში სამოქალაქო ჩართულობისა და დემოკრატიული მონაწილეობის ხელშეწყობაა. სათემო ლიდერების იდენტიფიცირებითა და მათი სათემო მობილიზების მხარდაჭერით ხელს ვუწყობთ სოფლების, თემებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე სამოქალაქო ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, რაც ერთი მხრივ, მონაწილეობითი დემოკრატიის განვითარებასა და მეორე მხრივ ადგილზე არსებული პრობლემების გადაჭრას უწყობს ხელს. ამ მიმართულებით განვახორციელეთ შემდეგი აქტივობები:

East-West Management Institute და USAID-ის პროექტის “ულტრანაციონალისტური და პრორუსული ნარატივების პრევენცია” ფარგლებში დავიწყეთ აქტივობები რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ გავრცელებულ ანტიდასავლურ პროპაგანდასა და დეზინფორმაციის საპასუხოდ.

აჭარის რეგიონი, რომელიც ნატოს საზღვრისპირაა განსაკუთრებული სამიზნეა ამგვარი ნარატივების, ჩვენი მიზანი იყო ფართო საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და წარმოება მიზანმიმართულად გავრცელებული ყაღბი და შეცდომაში შემყვანი ნარატივების საპასუხოდ. ორ ფიზიკურ ვიდეოში და განვახორციელეთ როგორც ონლაინ კამპანია (მიტები VS რეალობა, სანდო ადამიანების ვიდეო მიმართვები), ისე ფიზიკურად შევხვდით რეგიონის ოთხ მუნიციპალიტეტში (ხერვაჩაური, ქედა შუახევი, ხურო), 300-მდე ადამიანს და მათთვის ნაცნობ და სანდო ადამიანთან ერთად ვისაუბრეთ საქართველოს ევროპული ინტეგრაციაზე, ქართული და ევროპული ღირებულებების თავსებადობასა და სიკეთეებზე.

"მედია განვითარების ფონდის" დაფინანსებით "სოლიდარობის თემი დეზინფორმაციების წინააღმდეგ" პროექტის ფარგლებში პროაქტიულად დავიწყეთ მუშაობა ახალგაზრდაში კრიტიკული უნარების განვითარების მხარდასაჭერად.

მაღარმთიან აჭარაში, კერძოდ ქედის, შუახევისა და ხუროს მუნიციპალიტეტების სკოლებში საინფორმაციო შეხვედრები მოვანწყეთ 80 -მდე მოსწავდესთან. შეხვედრებზე ვისაუბრეთ დეზინფორმაციაზე, პროპაგანდის ფორმებზე და მივანოღეთ თეორიული და პრაქტიკული ინფორმაცია ყაღბი ფოტო/ვიდეო ამბების გადამოწმებასა და ონლაინ ჰიგიენაზე.

მედიაგენიერების პროგრამის მიმართ ახალგაზრდაების ჩართულობამ და მაღალმა ინტერესმა, მოგვცა მოტივაცია ამ საკითხზე მუშაობა გავაგრძელებინა People In Need-ის პროექტის ფარგლებში "სოლიდარობის თემი დეზინფორმაციების წინააღმდეგ".

ამჯერად დაბა ხუროსა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ 15-17 წლის მოსწავდებს შევხვდით და ვიმუშავეთ ყაღბი ამბების ამოცნობისა და გადამოწმების უნარების განვითარებაზე. აგრეთვე, მოვანწყეთ ფილმის ჩვენებები და დისკუსიები დეზინფორმაციებისგან მომავარი საფრთხეების, მათი შედეგებისა და თავდაცვის მექანიზმების შესახებ.



სოლიდარობის თემში ასევე აქტიურად ვმუშაობთ სათემო ჩართულობისა და ადგილობრივ თვითმმართველობებში სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდაზე. 2021 და 2022 წელს გავაკეთეთ ხუროს მუნიციპალიტეტში სათემო გამოწვევების კვლევა და მონაწილეობა მივიღეთ საბიუჯეტი წინადადებების წარდგენასა და განხილვაში.

სოციალური სამართლიანობის ცენტრთან თანამშრომლობით ჩართულები ვიყავით “აჭარაში კრიტიკური პოლიტიკის სკოლის” განხორციელებაში. სკოლა ნახევრად აკადემიური სივრცე იყო, რომელიც აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან 20-მდე ახადგაზრდას აერთიანებდა; გარდა კრიტიკური თეორიების გაცნობისა და გააზრებისა, პროგრამის ფარგლებში გავაკეთეთ აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გასვლითი შეხვედრები, როგორც ადგილობრივი კურტურის გაცნობის, ისე საჭიროებების გამოკვეთის მიზნით.



2022 წლის ბოლოს სოციალური სამართლიანობის ცენტრთან თანამშრომლობით დავეგეგმეთ ადგილობრივი თვითმმართველობის სკოლები ახადგაზრდებისთვის, რომლებსაც ბანაკის ფორმატი ჰქონდა. გარდა შემეცნებითი კომპონენტისა, ამგვარი მიდგომით ვცდილობთ რეგიონის ახადგაზრდებს შორის კავშირების გამყარებას, რიღერული უნარების განვითარებას და მცირე სათემო აქტივობების განხორციელებას მათივე თემებში. ბანაკის მონაწილე 18-ვე ახადგაზრდა აქტიურად ჩაერთო სათემო აქტივობებში.

UNDP-ის მხარდაჭერით დავიწყეთ “საქართველოს მრავალფეროვნების მოზაიკა”, რომელიც საღისკუსიო და შემეცნებითი სივრცე იქნება აჭარაში (ბათუმში, ქობულეთში, ხევჯარაურში, ქედაში, შუახევსა და ხუროში) 16-დან 29 წლამდე ასაკის ახადგაზრდებისთვის კრიტიკური აზროვნების უნარების განვითარებისთვის. ინიციატივა მოიცავს რამდენიმე დღიან ბანაკს, ყოველთვიურ შეხვედრებსა და სათემო ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვას.



აჭარაში მცხოვრები ქალების უფლებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა

აჭარელ ქალებს გათვრეული, ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პირობების გამო ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი რესურსებს და მეტად არიან ჩართული როგორც შინსრობაში, ისე საზონურ ფიზიკურ მუშაობაში, რაც უარყოფითად აისახება მათი ცხოვრების ხარისხზე. სოლიდარობის თემი ცდილობს რეგიონში მცხოვრები ქალების მხარდაჭერას, მათი განათლების, ჯანდაცვისა და საკუთრების უფლებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პირდაპირი სარგებების შეთავაზების გზით; რეგიონში მცხოვრები ქალების მხარდასაჭერად რამდენიმე მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა, კერძოდ:

თავსაფრიანი მუსლიმი ქალების მხარდასაჭერად გაერთო განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით განვახორციელეთ პროექტი “დასაქმება, როგორც მუსლიმი, მათ შორის თავსაფრიანი ქალების უფლება”.



თავსაფრიანი მუსლიმი ქალების ცხოვრებაში

ჩვენი მიზანი იყო თავსაფრიანი მუსლიმი ქალების გამოწვევების მოკვლევა და სოციალურ ქსელში მათი საჭიროებების ადვოკატირება. შედეგად მოვამზადეთ კვლევა “თავსაფრიანი მუსლიმი ქალების ყოველდღიურობაში”, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარელი თავსაფრიანი მუსლიმი ქალების შესახებ გამოწვევების შესწავლას საგანმანათლებლო, სოციალურ და დასაქმების სივრცეებში. ასევე მომზადდა ორი ვიდეო და ორი

ბლოგი, სადაც თავსაფრიანი მუსლიმი ქალები თავად საუბრობენ პირად გამოცდილებებზე. ვაგრძელებთ ამ თემის ადვოკატირებას, რათა ხელი შევუწყოთ როგორც კერძო, ისე საჯარო დაწესებულებებში თავსაფრიანი ქალების დასაქმებას.

მთიან აჭარაში სოფლად მცხოვრები ქალების რეპროდუქციური და სექსუალური ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის დავიწყეთ საინფორმაციო და სერვისის მიწოდების პროგრამა. კონკრეტულად მოვამზადეთ და გავავრცევეთ საინფორმაციო ბუკეტები სექსუალური და რეპროდუქციური ჯანმრთელობის შესახებ; ექვსი საინფორმაციო შეხვედრა გავმართეთ შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის, სექსუალური და რეპროდუქციური ჯანმრთელობის შესახებ; სამიზნე ჯგუფებისთვის დავაორგანიზეთ საკონსულტაციო შეხვედრები რეპროდუქტოლოგთან; მოვამზადეთ და გავავრცევეთ საინფორმაციო ვიდეო მასალები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნული პროგრამა გავაგრძელებთ და გავაფართოვებთ ნიღარლანდების საელჩოს მხარდაჭერით “ქალებისა და ქვიათ თემის ჯანმრთელობის მხარდაჭერა აჭარაში”.

გავაფართოვებთ ბენეფიციარი ქალებისთვის რეპროდუქციურ ჯანმრთელობაზე კრიტიკული ცოდნისა და პირველადი პრევენციური სერვისის მიწოდების არეალი ხულო, შუახევისა და ქედაში, როგორც დაბებში, ისე სოფლებსა და საბაფხულო იარაღებზე. გარდა ამისა, კიდევ ერთ ამოცანად დავისახებთ აქტივისტებისა და ქვიათი საზოგადოების წევრების ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვა შესაბამისი სერვისების მიწოდებით. პროექტის განმავლობაში განხორციელდება აჭარის მთავრობის მიერ განხორციელებულ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში ქალები და ქვიათ თემის რეპროდუქციური უფლებებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრირების ადვოკატირებაც.

“ფონდი ტასოს” მხარდაჭერით 2023 წლის ოქტომბერში დავაორგანიზეთ ოთხ ლღიანი ბანაკი სახელწოდებით “ქალები თანასწორობისთვის”.

პროგრამაში მონაწილეობდნენ სამი მუნიციპალიტეტის (ქედა, შუახევი, ხურო) ახალგაზრდა გოგონები, რომლებსაც მიენოდათ ინფორმაცია ისეთ საკითხებზე როგორცაა: თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის /ჩართულობის ფორმები და მექანიზმები; ევროინტეგრაცია, რა არის ევროკავშირი, საქართველოს ევროპული ისტორია; გენდერული თანასწორობა; საჯარო გამოსვლისა და პრეზენტაციის ტექნიკები. თეორიული სწავლების შემდგომ მონაწილეებს მიეცათ პრაქტიკული დავადება, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ მიღებული ცოდნა თანატოლებს გაუზიარონ.

მთიანი აჭარა რთული გეოგრაფიული რელიეფით გამოირჩევა. ამასთან სოფლები ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო თვალსაზრისით არ არიან ცენტრებთან დაკავშირებული, რაც ჯანდაცვის სერვისებზე ადგილობრივთა ხელმისაწვდომობას მკვეთრად აუარესებს. 2023 წლის აგვისტოს დასაწყისში სოფიდანობის თემმა განახორციელა ადვოკატირების კამპანია ხუროს მუნიციპალიტეტში ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობისთვის. ჩვენმა გუნდმა გამართა სამღიანი საპროტესტო აქცია ადგილობრივი ახალგაზრდებისა და ქალების მონაწილეობით ხუროს ევექსის კლინიკაში მეანგინეკოლოგიური განყოფილების აღდგენის მოთხოვნით, რომელიც ამავე წლის ივლისში დაიხურა იმ მიზეზის გამო რომ მომგებიანი არ იყო. კამპანიის ფარგლებში, ასევე მივმართეთ ადგილობრივ თვითმმართველობას, ჯანდაცვის რეგიონურ და ცენტრალურ სამინისტროებს, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის ქაღ წევრ დეპუტატებს. ძაღისხმევის შედეგად განყოფილება აღდგა და აგრძელებს ქაღთა მომსახურებას.



LGBTQI+/ლგბტქ(ი)+ პირების მხარდაჭერა და თემის მიმართ საზოგადოებაში სოლიდარობისა და მიმღებლობის გაზრდა

ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური ფონი რეგიონშიც მწვავედ დგას. ქვიარ ადამიანებს აჭარაშიც აწუხებთ ხარისხიან განათლებასა და ჯანდაცვაზე, დასაქმებასა და ღირსეულ სამუშაო პირობაზე, ფიზიკურ და ფსიქიკურ უსაფრთხოებასა და დაცულობაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. სოლიდარობის თემა მიზნად ისახავს რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე ქვიარ ადამიანების წინაშე არსებული გამოწვევების არტიკულირებასა და აღმოკატირებას. ასევე, თემაში ჰომოფობიური განწყობებისა და სიძულვილის ენის შემცირებას, ლგბტქ(ი)+ ადამიანების მიმართ მიმღებლობისა და თანაბრძნობის გაზრდას განათლების, სოციალური სივრცეების შექმნის გზით.



სოლიდარობის თემის რიგით მეორე კვლევაა “აჭარაში მცხოვრები ქვიარ თემის ყოველდღიურობა და გამოწვევები კოვიდ პანდემიის პირობებში”, რომელმაც პანდემიისას რეგიონში მცხოვრები ქვიარ ინდივიდების ყოველდღიურობის შესახებ დასაქმებასთან, მენტალურ ჯანმრთელობასთან და განათლების წვდომასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებები წარმოაჩინა. კვლევაში წარმოჩენილი პრობლემების საპასუხო ღონისძიებების თემა ამ საკითხზე სისტემურად იმუშავებს.

2023 წლის ოქტომბერში სოლიდარობის თემა მოაწყო ბანაკი აჭარაში მცხოვრები 18-30 წლის ქვიარ ინდივიდებისა და აქტივისტებისთვის. ბანაკის განმავლობაში მონაწილეები ჩაერთვნენ შემდეგ აქტივობებში:

- ჯგუფური თერაპია და სხეულზე ზრუნვის პრაქტიკები;
- აიმაღლეს ცოდნა სქესობრივი გზით გადადები დაავადებების შესახებ.

პროექტები
და
დონორები





თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი

პროექტი: “კოვიდ 19 და სამოქალაქო საზოგადოების მოქნილობა და მდგრადობა აჭარაში”

ბიუჯეტი: 18 433 GEL

ხანგრძლივობა: 15 ივლისი 2022 - 15 მარტი 2022



People IN Need (PIN)

პროექტი: “ქართული ისლამური კულტურის ტურისტული პოტენციალის კვლევა და წარმოჩენა”

ბიუჯეტი: 13 200 GEL

ხანგრძლივობა: 1 მარტი 2022 - 30 სექტემბერი 2022



ფონდი “ტასო”

პროექტი: “რეკონდუქციული ჯანმრთელობა, როგორც ქალთა უფლება”

ბიუჯეტი: 14 760 GEL

ხანგრძლივობა: 1 მარტი - 1 ნოემბერი 2022



USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EWMI & USAID

პროექტი: “ულტრანაციონალისტური და პრორუსული ნარატივების პრევენცია მთიან აჭარაში”

ბიუჯეტი: 3 443 USD

ხანგრძლივობა: 11 აპრილი - 11 მაისი 2022



მედიის განვითარების ფონდი

პროექტი: “სოლიდარობის თემი დეზინფორმაციების წინააღმდეგ”

ბიუჯეტი: 3 880 GEL

ხანგრძლივობა: 8 ივნისი - 31 ოქტომბერი 2022

INSTITUTE FOR WAR & PEACE REPORTING



ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR)

თანაგზრომლობითი პროექტი: სოციალური სამართლიანობის ცენტრთან “ადგილობრივი აქტორების გაძლიერება უმცირესობების ეფექტური ინტეგრაციისთვის”

ბიუჯეტი: 5 166 GBP

ხანგრძლივობა: სექტემბერი 2022-თებერვალი 2023



სამოქალაქო
საზოგადოების
ინსტიტუტი

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)

პროექტი: “დასაქმება, როგორც მუსლიმი, მათ შორის თავსაფრიალი ქალების უფლება”

პროექტი: "სოლიდარობის თემის ორგანიზაციული გაძლიერება და განვითარება ეფექტური სათემო მუშაობისთვის"

ბიუჯეტი: 4 940 USD

ბიუჯეტი: 9 770 EUR

ხანგრძლივობა: 15 ივლისი 2022 – 1 აგვისტო 2023

ხანგრძლივობა: 21 თებერვალი 2023 – 21 ნოემბერი 2023



Kingdom of the Netherlands



People IN Need (PIN)

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო
საქართველოში

People IN Need (PIN)

პროექტი: “ქალთა და ქვიარ თემის ჯანმრთელობის მხარდაჭერა აჭარაში”

პროექტი: “მედიანოგნიერების სკოლა ხულოში”

ბიუჯეტი: 84 230 GEL

ბიუჯეტი: 17 004 GEL

ხანგრძლივობა: 1 აპრილი 2023 – 31 დეკემბერი 2023

ხანგრძლივობა: 1 მაისი 2023 – ნოემბერი 2023



ფონდი “ტასო”



გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

პროექტი: “ქალები თანასწორობისთვის”

პროექტი: “საქართველოს მრავალფეროვნების მოზაიკა”

ბიუჯეტი: 16 100 GEL

ბიუჯეტი: 351 065 GEL

ხანგრძლივობა: 12 ივლისი 2023-12 იანვარი 2024

ხანგრძლივობა: 15 აგვისტო 2023 – 30 სექტემბერი 2024

ჰილდოები





1

სახალხო დემოკრატიის არსებულმა რელიგიათა საბჭომ სოლიდარობის თემს “**ბოლნისის ქობის**” წოდება მიანიჭა ბოლნისის კულტურაში შეტანილი გამოჩენილი წვლილისთვის.

წელი: 2021 წლის 17 ნოემბერი

2

თბილისის მშვიდობის კათედრალმა სოლიდარობის თემს “**მრავალფეროვნების ამბავი**” ჯილდო გადასცა, მრავალფეროვნების დაცვაში შეტანილი წვლილისთვის.

წელი: 2021 წლის 24 დეკემბერი

3

ნიდერლანდების სამეფოს საელჩომ საქართველოში სოლიდარობის თემის დამფუძნებელ წევრს **ჰურია აბაშიძეს** ჯილდო “**უფლებათა ტიტა**” გადასცა მისი როლისთვის უფლებადამცველობით საქმიანობაში.

წელი: 2021 წლის 2 დეკემბერი

